ესპანელი არქიტექტორის ვინსენტე გუარტის ლექცია და ვორქშოფი თბილისში

2017 წლის 12 ივნისს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ჩატარდა ესპანელი არქიტექტორის ვისენტე გუაიარტის ლექცია თემაზე: „მომავლის ქალაქების პროტოტიპირება“;

ვინსენტე გუარტი არის კატალონიის მოწინავე არქიტექტურის ინსტიტუტის (IAAC) თანადამფუძნებელი, საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა „City and Technologies: Prototyping Futer Cities of NSE Graduate School of Urbanism - ის აკადემიური დოქტორი; 2016 წლიდან დღემდე შუხოვის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, 2011 – 2015 წლებში ბარსელონის მთავარი არქიტექტორი; ამავე პერიოდში იგი ხელმძღვანელობდა ქალაქის სტრატეგიული განვითარების ხედვის შემუშავების კომისიას, რომლის ფარგლებშიც განახორციელა ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი.

ლექციაზე ვისენტე გუაიარტიმ ისაუბრა ურბანული რეგენერაციის იმ ძირითად პროექტებზე, რომელიც განხორციელდა 2011 – 2015 წლებში ბარსელონაში. ბატონი გუაიარტი ერთერთი პირველია, ვინც ქალაქის ახალი მოდელის შექმნისას ერთმანეთს დაუკავშირა არქიტექტურა, ბუნება და ტექნოლოგიები. ტექნოლოგიური ინოვაციები უზარმაზარ გავლენას ახდენენ ურბანულ განვითარებაზე. იცვლება ქალაქის ექსტერიერი, სოციალური გარემო, ადამიანთა შორის კომუნიკაციის გზები, მათი გადაადგილების საშუალებები და აგრეთვე ქალაქის მართვის სისტემა. ლექციის მსვლელობისას არქიტექტორი შეეცადა პასუხი გაეცა კითხვებზე: როგორ შეიცვლება ჩვენი ცხოვრების წესი? ქალაქის დაგეგმარება და მშენებლობა? როგორ და როდის მოხდება ეს ცვლილებები.

2017 წლის 13 ივნისს ტექნოპარკში ვინსენტე გუარტის ხელმძღვანელობით გაიმართა ვორქშოფი თემაზე:“მდინარე კავშირი თუ ბარიერი“; ვორქშოფში მონაწილეობა მიიღო სამი უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ილიას უნივერსიტეტი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სტუ - ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტიდან ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს ბაკალავრებმა ვერა გამიაშვილი, მარიამ ახალაია, ნინო მუჩიასვილი, მარიამ გვაზავა, ანი წიქორიძე, გივი გორდულაძე, სალომე სვანაძე, თამარ კვერნაძე, ნათია ჭეიშვილი, ბაჩანა ჩეხერია, მარიამ შაიშმელაშვილი და მაგისტრამტებმა: შალვა მახარაძე, ოთარ მჭედლიშვილი.

ვორქშოფს წინ უძღვოდა ღია სემინარი - „ქალაქებში მდინარეთა რეგენერაციის საერთაშორისო პრაქტიკა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვინსენტე გუარტიმ, რომელმაც ისაუბრა საერთაშორისო გამოცდილებაზე; არქიტექტორმა ელისო სულაკაურმა ისაუბრა 2014 წელს შესრულებულ პროექტზე: თბილისში, მდინარე მტკვრის როლი ურბანულ სივრცეში. მოსკოველმა არქიტექტორმა ნადია ხორტიმ წარმოადგინა საკონკურსო პროექტი „მდინარე მოსკოვი“ს გამარჯვებული არქიტექტურული ჯგუფის „მეგანომის“ საპროექტო წინადადება.

ვორქშოფის მთავარი იდეა იყო მდინარე მტკვრის გასწვრ საზოგადოებრივი სივრცეების გამოვლენა და დაპროექტება; ვორქშოფი შედგებოდა სამი ნაწილისგან. თვითოეულ ნაწილში სტუდენტების მიერ შესარულდა კონკრეტული დავალებები. 1. ურბანული პარადიგმები. ამ ნაწილში სტუდენტებმა მოიძიეს მათთვის მისაღები მსოფლიო მაგალითები, თბილისის მსგავსი ქალაქები და პროექტები, რომლის საფუძველზე მათ ჩამოუყალიბდათ კონცეფცია. 2. კონცეფციის დამუშავება. 3. საკუთარი პროექტის შექმნა, რომელიც გულისხმობდა მდინარე მტკვრის გასწვრივ

კულტურულ - დასასვენებელი სივრცის, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობა ნაგებობებისთვის კონკრეტული ადგილების მოძიებას და დასაბუთებას.

აღნიშნული ღონისძიება ორგანიზებული იყო ურბანისტიკის უმაღლესი სკოლის და რედ ფონდის თანადგომით.



INNOVATION
TEAMWORK